# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1915 2020 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

## საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ თანხმობის მიცემის შესახებ

1. „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად, თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში სალიანდაგო მიწის ვაკისის სამუშაოების განხორციელების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზას“ (ს/კ: 202886010) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №36.17.36.010) მდებარე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) „კაკლის ხე“ (Juglans regia L.) – 1 (ერთი) ინდივიდი;

ბ) „იმერული მუხა“ (Quercus imeretina Stev. Ex. Malleev) – 2 (ორი) ინდივიდი.

2. სს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოჭრილი მერქნული რესურსი განკარგოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**